ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2399 ოთხშაბათი 4 თებერვალი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2399

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე- თ—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 4 თებერვალს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება
ბენეფისი კოტე ყიფიანისა
I
დაქცეული ოჯახი
კომედ 3 მოქმ. გ. სუნდუკიანცისა.
II
თილისმით მოარშიყე
სცენები 3 სურ. გ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, ნ. დავითაშვილი, ნებ-რიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, აფხაზიშვილი, გალუსტოვი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. ვარაძე, ა. იმედაშვილი; ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი, მანიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
რეჟისორი აკაკი.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.
ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
ოთხშაბათს, 4 თებერვალს, 1904 წ., ქ-ნ რადინის საბენეფისოდ პირველად წარმოდგენილი იქმნება
ტოსკა
ოპერა 3 მოქ. მუსიკ. პუჩინისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: რენე-რადინა, კალინინა; ბ-ნნი: ფიგნერი, ილიუშჩენკო, გლადკოვი, კლიუზნერი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 5 თებ.—ბენეფ. ი. ა. კოლლერისა—ოპ. „კარმენი“; 6 თებ. ორი წარ. დილით „სნეგუროჩკა“, საღამოთი „ევგ. ონეგინ“.

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის
წლიური კრება
დანიშნულია ამ 1904 წ. 8 თებერვლისათვის დილის 10 საათზედ, ამხანაგობის სადგომში (მიხეილის ქ. სახლი № 156).

განსახილველი საგნები:
1) 1903 წლ. ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.
2) მოხსენებანი გამგეობისა და საარჩევნო კომისიისა.
3) არჩევანი გამგეობის წევრთა და თავმჯდომარისა.
4) „ სარევიზიო კომისიის წევრთა.
5) „ დამფასებელ კომისიის წევრთა.
6) „ ახალ წევრთა.

თანახმად ამხანაგობის წესდების 40 და 41 მუხლებისა, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო კრება გადაიდება 15 თებერვლისათვის. ვაუწყებთ რა ამას პატივცემულ წევრთა, უმორჩილესადა ვსთხოვთ ერთმანერთს შეატყობინონ ეს განცხადება.

გამგეობის თავმჯდომარე გრ. თოიძე
გამგეობის წევრნი { ი. რუსიევი.
გ. ბერძენოვი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ლ. ივ. ძამოევი.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 10 ს.—11-მდე.
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.
ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.
ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.
გრ. გ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.
ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.
ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.
ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.
საღამოთი:
გ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. ოთხშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.
სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან თამდე.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)
დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—8)

ქუთაისში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი
იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ქუთაისში
კბილის ექიმი
მ. ი. ბეგიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი
ვ. დ. ლამბაშიძე
ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა სახლი № 46.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 თებერვალი

პეტერბურგი. ბერდიანსკისა, ნიჟნეტაგილისა, პსკოვისა, სუმისა, ყარსისა, რეველისა, ვლადიმირისა, კურგანისა, ბობრუისკისა, ვიტეგრისა, მინსკისა, ბელგოროდისა, ნოვგოროდისა, გროდნისა, კრონშტადისა, დონის როსტოვისა, კავკავისა, ზენკოვისა, კამიშლოვისა, ქერჩისა, ეკატერინოსლავისა, მურმასა, ტომსკისა, ბირსკისა და პავლოგრადიდან იტყობინებიან პატრიოტულის მანიფესტაციების შესახებ. იტყობინებიან აგრეთვე შემოწირულებათა შესახებ: იაროსლავის საბჭოს შემოუწირავს 5,000 მანეთი და ხელის მოწერით შეუგროვებია 6,300, ნოვოჩერკასკ-დონის სავაჭრო საზოგადოებას —5000 მან., ქალაქ დვინსკს—2000 მან., ქალაქ ტომსკს—3000 მან.

კელცი. ადგილობრივმა მანდილოსნებმა გუბერნატორის სადგომში გამართეს სახელოსნო მეომარ ჯარისთვის საცვლების დასამზადებლად.

პენზა. გუბერნატორის მეუღლის თაოსნობით შესდგა ქალთა კომიტეტი სამხედრო სამკურნალოებისთვის საცვლების დასამზადებლად.

სევასტოპოლი. ქალაქის საბჭომ პორტ-არტურში მყოფ ჯავშნიან გემის „სევასტოპოლ“-ის უფროსს დეპეშა გაუგზავნა და ორს თებერვალს ამის პასუხი მიიღო: „მე, აფიცრები და ჯარის-კაცები გემ „სევასტოპოლ“-ისა გულითადად ვმადლობთ ქალაქის საბჭოსა და თქვენ კეთილ გრძნობათა გამოცხადებისათვის. 26 იანვარს გამოვცადეთ ნაღმიან გემთა იერიში, ხოლო 27 იანვარს ჯავშნიან გემებთან ბრძოლა; ჩვენს ჯავშნიან გემზე მყოფი ჯარი უვნებლად გადარჩა და გულით სწადიან კვლავ ებრძოლოს მტერს, რათა ღირსეულად დაიცვას სევასტოპოლის გმირთა ანდერძი საყვარელ სამშობლოს საკეთილდღეოდ; ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენი ლოცვა სევასტოპოლში, სადაც ესოდენ დაღვრილა რუსის სისხლი, მიაღწევს უზენაესამდე და უფალი მიანიჭებს ბედნიერებას ჩვენს გემს, ერთი უმთავრესი მონაწილე იქმნეს მომავალს გამარჯვებაში“.

პორტ-არტური. 27 იანვარს, დილის 11 საათსა და 30 წუთს, იაპონიის ესკადრამ, რომელიც 15 გემისაგან შესდგებოდა, პორტ-არტურს ზარბაზნები დაუშინა. ჩვენმა ესკადრამ და ციხის არტილერიამ პასუხი გასცეს. სროლა 40 წუთს გაგრძელდა. იაპონიის ესკადრამ ვერ გაუძლო ჩვენს სასტიკ სროლას და უკან გაბრუნდა. იაპონიის ჯავშნიანი გემი ძლიერ დაზიანდა. მნახველთა სიტყვით, კიდევ ხუთი იაპონელი გემია საკმაოდ დაზიანებული. მოსულმა მეზღვაურებმა სთქვეს, ჩვენ ვნახეთ იაპონიის ორი გემი ზღვაში იძირებოდაო. ჩვენს მეზღვაურებს ორი აფიცერი დაუჭრეს, რომელთაგან ერთი ისე მსუბუქად, რომ ბრძოლის ველი არ დაუტოვებია; მოკლულია 5 ჯარის-კაცი და დაჭრილია 54; ციხის არტილერიას დაუჭრეს 2 ჯარის კაცი. არც ციხე და არც ჩვენი ესკადრა არ დაზარალებულა; მაგრამ იაპონელთა იერიშმა იმდენად დააშინა ხალხი, რომ ბევრი საჩქაროდ იხიზნება. ვაჭრობა თითქმის სრულიად შესწყდა. ღამ-ღამობით ზღვიდან მოისმის ზარბაზნების იშვიათი სროლა. ჯარი და ფლოტი ჩინებულ გუნებაზე არიან. იერიშის დროს ნამესტნიკი „ზოლოტაია გორაზე“ იყო. გაზეთ „ნოვი კრაი“-ს დეპეშებს იტაცებენ. მცხოვრებნი თანდათან მშვიდდებიან. იაპონელები არა სცდილან კვანტუნის ნაპირებზე გადმოსვლას. საჩქაროდ აკეთებენ დაზიანებულ გემებს.

ნიუ-იორკი. („რეტ. სააგ.“) ჩემულპოსთან მეორედ მომხდარ ბრძოლის დროს რუსის ორმა სამხედრო გემმა „ბოჟე ცარია ხრანი“-ს ხმაზე სისწრაფით იერიში მიიტანა იაპონიის ფლოტზე. ესოდენ გამბედაობა, რაც ამ გემებს უეჭველს დაღუპვას უქადდა, დიდად მოეწონათ რეიდზე მყოფ უცხოელ გემებს.

ბერდიანსკი. ადგილობრივ გიმნაზიების მოწაფეთ მოისურვეს, რომ ჩვეულებრივი ყოველწლიური ბალი აღარ გაიმართოს და ეს ფული ომის საჭიროებას მოხმარდეს.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა, რომელიც 2 თებერვალს მის იმპერატორებით უდიდებულესობამ მიიღო შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკისაგან: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას შინაარს საკრეისერო რაზმის უფროსის, 1 ხრანგის კაპიტნის რეიცენშტეინისაგან ამ წამს მიღებულ დეპეშისას: „სანგარის სრუტეს მახლობლად რაზმმა გემი დაღუპა და სამი დღე და ღამე 9° ყინვასა და ქარ-ბუქში იყო. მტერი არ შეგვხვედრია. დაწვრილებით ცნობებს დეპეშით მოგახსენებთ“. გენერალ-მაიორ ფლუგის დეპეშა პორტ-არტურიდან 2 თებერვალს მთავარ შტაბის მიმართ: „გაუწყებთ, რომ 1 თებერვალს პორტ-არტურში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ინკოუდან ამბავი მოვიდა, იაპონელები ემზადებიან, ცინვანდაოში ჯარი გადმოსხანო. მოსაზღვრე დარაჯი იტყობინება: გუშინ სენმინტინის გზაზე, სადგურ შახეპუს მახლობლად, მზვერავთა რაზმი გამოჩნდაო; წამოსასხამები ეცვათ და კეპები ეხურათ, ამიტომაც იაპონელები უნდა იყვნენო. ამასვე იტყობინებიან სადგურ სუიატუნადან. როგორც დაზვერამ აღმოაჩინა, დადუნგოუს რეიდზე იაპონიის ჯავშნიანი გემები არ ყოფილან.

ვაშინგტონი. ჩინეთის მთავრობამ სახელმწიფო დეპარტამენტს შეატყობინა, თუ სამეფო სახლი გაიქცევა, აქ უცხოელთა წინააღმდეგ საერთო აჯანყება მოხდებაო. დაიწყება ქლეტა, რომელსაც, შეიძლება, ჩინეთის დაქუცმაცება მოჰყვესო. გეის ნოტის შესახებ 1 თებერვლამდე სხვა პასუხი არ მოსულა. ავსტრ-ჰუნგრეთი წინადადებას არ დაეთანხმება, რადგან შორეულ-აღმოსავლეთში ძალიან მცირე ინტერესები აქვსო. ინგლისს სურს, რომ ნოტას აზრი და საგანი უფრო გარკვევით იყოს აღნიშნული.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“) წარსულ ღამეს რუსეთის ესკადრის ერთი ნაწილი პორტ-არტურიდან გავიდა.

სამარყანდი. მეჩეთში მრავალი მაჰმადიანი, გუბერნატორისა და მთავრობის სხვა წარმომადგენელთა თანადასწრებით, გულმხურვალედ ლოცულობდა რუსეთის ხელმწიფის დღეგრძელობისა და რუსეთის გამარჯვებისათვის. სამხედრო მუსიკა საერო ჰიმნს უკრავდა. ერთმა მაჰმადიანმა წარმოსთქვა ხალხის სახელით სიტყვა. ამ სიტყვაში გამოსთქვა სიყვარული და ერთგულება რუსეთის ხელმწიფისადმი, რომელმაც მაჰმადიანებს კეთილდღეობა და ისეთივე უფლებანი მიანიჭა, რაც სხვა ქვეშევრდომებსა აქვთ.

ბლაგოვეშჩენსკი. ქალაქში გაძლიერებულ დაცვის წეს-რიგი იქმნა შემოღებული.

პორტ-არტური. („რეიტ. სააგ.“) ოფიციალურ ცნობების თანახმად 600 იაპონელი ტალიენვანის მახლობლად გადავიდა ნაპირზე; აქედან 410 კაცი ყაზახებმა ამოჟლიტეს, დანარჩენნი უკანვე გემებზე დაბრუნდნენ.

პორტ-არტური. (საკუთარის კორესპონდენტისაგან). გერმანიის კრეისერს „განზა“ ს, რომელმაც რუსის აფიცრების ცოლები წაიყვანა, იაპონელებმა სროლა დაუწყეს. ესეც კიდევ ერთი მაგალითი აზიელთა ყოფა-ქცევისა.

პარიზი. პარიზის გაზეთების დირექტორებმა დაადგინეს, გამართონ ხელის მოწერა დაჭრილ რუსის ჯარის კაცთა სასარგებლოდ.

ვაშინგტონი. („რეიტ. სააგ.“) იაპონიის მისიისაგან მიღებულ ოფიციალურ დეპეშაში ნათქვამია, რომ პორტ-არტურთან მომხდარ ბრძოლაში იაპონიის არც ერთი გემი არ ჩაუძირავს, მხოლოდ რამდენიმე დაზიანდა და ეს დაზიანებული გემები გაჰგზავნეს შესაკეთებლად სასებოშიო.—საფრანგეთის ელჩმა აცნობა გეის, რომ საფრანგეთი სიამოვნებით უერთდება თქვენს წინადადებას ჩინეთის ნეიტრალიტეტის შესახებაო. საბუთი არის ვიფიქროთ, რომ რუსეთი დასთანხმდება ამ წინადადებას. როგორც იუწყებიან, ინგლისმა პრინციპიალურად თანხმობა განაცხადა.—როგორც ისმის, ბრძოლა ჩინეთის ტერიტორიაზე მანჯურიის არ გასცდება.

პორტ-არტური (საკუთარის კორესპონდენტისაგან). უცხოელთა გაზეთები იუწყებიან, რომ კორეის იმპერატორი საფრანგეთის მისსიაში გადადისო. იაპონიის მთავრობამ აცნობა ჩინეთის ელჩს ტოკიოში, რომ თუ ჩინეთს ჰსურს ნეიტრალიტეტი, ვალდებულია დაიცვას ყველა საზღვრები და გააძლიეროს ჯარი, დიდის კედლიდან დაწყებულიო.—ღამის იერიშის დროს 27 იანვარს რუსეთის ზარბაზნებისაგან დაიღუპა იაპონიის სამი ნაღმიანი გემი. როგორც იმიერ-ბაიკალიდან იუწყებიან, პრიამურის ყაზახთა მობილიზაცია საოცარის აღფრთოვანებით ხდება. ყაზახები დროშებით სოფელ-სოფელ დადიან. ყველა მოწადინებულია, სამაგიერო გადაუხადოს ვერაგ მტერს.

ნაგასაკი („რეიტ. სააგ“.). როგორც „ლოიდი“ იუწყება, იაპონელებმა გაიტაცეს 5 ნორვეგიული გემი. ეს გემები რუსის ვაჭრებსა ჰქონდათ დაქირავებული.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან*)

2 თებერვალი

პეტერბურგი. პურის ვაჭრობის გათავების შემდეგ სახელმწიფო ბანკის კასაში მეტ წილად ოქრო შემოვიდა: შემოსულ 82 მილიონ მანეთიდან მხოლოდ 11 მილიონია ქაღალდის ფული. რადგან საკრედიტო კასებში ქაღალდის ფულის ნაკლებობა განსაკუთრებით იმიტომაა, რომ შორეულ-აღმოსავლეთში დიდძალი ქაღალდის ფული გაიგზავნა, სახელმწიფო ბანკმა 31 იანვარს, ნაღდ ოქროს ფულის უზრუნველყოფით, გამოსცა 50 მილიონის ქაღალდის ფული. ამ გვარად პირველ თებერვლისათვის სულ არის ქაღალდის ფული 680 მილიონ მანეთისა.

საკრეისერო რაზმის უფროსი კაპიტანი რეიცენშტეინი დეპეშით იტყობინება შემდეგს: „სანგურის სრუტესთან რაზმმა დალუპა გემი; სამ დღეს ესკადრა ებრძოდა ქლელვარე ზღვას; 9 გრადუსი ყინვაა და ქარბუქი. მტერი არსად სჩანს.“

3 თებერვალი

პეტერბურგი. რადგან იაპონელებმა სამხედრო მოქმედება კორეაში გადაიტანეს, რუსეთის ელჩი სეულში საფრანგეთის კრეისერ „პასკალ“-ზე ჩინეთის ერთ-ერთ ნავთსადგურში მიდის.

ჩემულპოსთან ბრძოლაში რუსებს მოუკლეს 6 ჯარის კაცი.

ვეი-ხაი-ვეი ისევ ინგლისელებს აქვთ იჯარით აღებული; თუმცა ინგლისმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ ამ ცნობას არ უნდა ვერწმუნოთ, რადგან იაპონელები სარგებლობენ ამ ნავთსადგურით, როგორც სამხედრო მოქმედების ბაზისით.

ლონდონი. „დეილი კრონიკლ“-ში დაბეჭდილია ინგლისელ პუბლიცისტის არნოლდ უაიტის წერილი ინგლისისა და რუსეთის დაახლოების საჭიროების შესახებ. ავტორის აზრით, რუსეთს, რომელსაც კოლონიები არა აქვს და სადაც აღებ-მიცემობაც მცირეა, არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ინგლისს. რუსეთის სურვილი გზა გაიკაფოს გაუყინავ ნავსადგურისაკენ, სრულიად კანონიერია. დასასრულ უაიტი ჰკიცხავს ინგლისის კავშირს ყვითელკანიან ხალხთან.

სოფია. გრაფ ლამზდორფმა აცნობა ბოლგარიის მთავრობას, რომ, მიუხედავად შორეულ-აღმოსავლეთის ომიანობისა, რუსეთი [illegible] თვალ-ყურს მაკედონია[illegible] [illegible]ლიებს.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 თებერვალი

კიევი. კიევის მარინის წითელი ჯვრის საზოგადოების სამზრუნველომ შეადგინა საექიმო რაზმი შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნად. რაზმს შეადგენენ 5 ექიმი, 50 მოწყალების და, 30 სანიტარი და აქვს 200 საწოლი, აფთიაქი, საექიმო იარაღი და საცვალი.

სოფია. (მთავრობის წრეებიდან) ბოლგარიის ყველა ეკლესიაში რუსეთის გამარჯვებისათვის პარაკლისები გადაიხადეს.—ბოლგარიის წითელ ჯვრის საზოგადოებამ გადასწყვიტა რუსეთის წითელ ჯვრის საზოგადოებას 3 ექიმი, 3 მოწყალების და და 2 სანიტარი მივაშველოთო.

ლონდონი. („რეიტ. სააგ“.) პალატაში მთავრობას შეეკითხნენ, კორეიაში სანეიტრალო ადგილი უნდა დასტოვონ თუ არაო? გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტრის თანაშემწემ უპასუხა, ამაზე მთავრობის წინაშე არაფერი უთქვამთო. ვალტონმა ჰკითხა: ინგლისის ვაჭრობის ინტერესისთვის მთავრობას სურს, თუ არა ნიუ-ჩუანის ნეიტრალიზაციის თაობაზე ევროპიელ სახელმწიფოებთან მოლაპარაკება გამართოსო. პერსიმ მიუგო: მთავრობას ჰგონია, რომ შეუძლებელია ნეიტრალიზაცია იმ ადგილისა, რომელიც ერთ-ერთ მებრძოლ სახელმწიფოს უჭირავსო. ვალტონმა ჰკითხა: შანჰაი-გუანის რკინის გზის დასაცველად მიღებულია თუ არა რამე ღონისძიებაო? ამ გზის წმინდა შემოსავალს ინგლისის აქციონერებს დაჰპირდითო. პერსიმ მიუგო: ამ გზას ჩინეთის ჯარი დაიცავსო.

ლონდონი. 2 თებერვალი. („რეიტერის სააგენტო“) ლორდთა პალატა. ლანსდოუნმა პალატას 30 იანვარს მიღებული დეპეშები მოახსენა, სახელდობრ საადმირალოს დეპეშა ჩინეთს ინგლისის სადგურის მთავარ უფროსის სახელობაზე გაგზავნილი და ამ დეპეშის პასუხი. პირველ დეპეშაში სწერია: პეტერბურგში დიდი მითქმა-მოთქმაა იმის თაობაზე, ვითომც იაპონელები ინგლისის თანხმობით ვეი-ჰაი-ვეიდან დასცემოდნენ პორტ-არტურს; დიდი მნიშვნელობა ექნება, რომ ბრიტანიის მთავრობამ გადაჭრით უარ-ჰყოს ეს ხმებიო. მეორე დეპეშა გონკონგიდანაა მიღებული მთავარ-უფროსისაგან. უფროსი სწერს: ეს ხმა სრულიად უსაფუძვლოაო. „ვეი ჰაი-ვეიში, სანამ მე ტელეფონით არ შევატყობინე, არც კი იცოდნენ, რომ სამხედრო მოქმედება დაწყებული იყოო. პირველი კერძო ცნობები სამხედრო მოქმედების დაწყების შესახებ ჩიფუდან მივიღე ერთის კერძო გემისაგან, რომელიც პორტ-არტურიდან მოსულიყო. ვეი-ჰაი-ვეიში ბრძოლის ამბავი პირველად გემს „ფუპინგს“ მიეტანა. ამ გემის უფროსს ეთქვა, პორტ-არტურიდან რომ გამოველ, ზარბაზნები დამიშინესო. საზოგადოდ აქ მეტად უსაფუძვლო, განგებ შეთხზული ხმები დადის“.

ბელგრადი. საერო კრებამ ერთხმად მიიღო მილოვანოვიჩის წინადადება, ხელმწიფე იმპერატორს დეპეშით შევატყობინოთ, რომ საერო კრებას რუსეთის იარაღის გამარჯვება ჰსურსო. თავჯდომარემ განაცხადა, მდივანმა მურავიოვმა შემატყობინა, რუსეთის მთავრობას ძალიან უხარიან ყურადღება საერო კრებისა, რომელმაც რუსეთის გამარჯვებისთვის პარაკლისი გადაიხადაო.

იოკოგამა. გზათა მინისტრმა განაცხადა, რომ იაპონელ მეზღვაურთ ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლიათ ზღვის კანდელები (მაიაკი) ჩააქრონო.

ტოკიო. ნაგასაკსა, სასებოსა, ბუსიმესა და ხაკოდატეში საომარ დროის წესები შემოიღეს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბრძოლა პორტ-არტურთან. ინგლისურ გაზ. „დეილი ექსპრეს“-ს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: „24 იანვარს, შაბათს, იაპონიის ესკადრა—16 ჯავშნიანი გემი—და კრეისერი და მრავალი ნალმიანი გემი ვეი-ჰაი-ვეის ახლო შეიკრიბა კვირა დილას, 25 იანვარს, ესკადრასთან ნალმიან გემების გამანადგურებელი გემიც მოვიდა კუნძულ ცუშიმიდან. ამ გემით თითონ მთელის ესკადრის ადმირალი ტოგო მოვიდა და თან მთავრობის ბძანება მოიტანა, ეხლავე სამხედრო მოქმედება დაიწყეთო. ადმირალის მოსვლის უმალ, იაპონიის ესკადრა ბრძოლის რიგზე გამწკრივებული პორტ-არტურისაკენ დაიძრა. რუსეთის ციხეს რომ მოუახლოვდნენ, იაპონიის გემებმა სინათლე მთლად ჩააქრეს და ბნელაში გასწიეს. როცა პორტ-არტურს მიატანეს, ადმირალ ტოგომ ბძანება გასცა, ნალმიანმა გემებმა იერიში მიიტანონ რუსეთის ესკადრაზეო. სამი ნალმიანი გემი გაქანებული წავიდა, რუსეთის ესკადრას ნახევარ ვერსზე მიუახლოვდა, ნალმები ესროლა და ისევ უკან გამოქანდა. რუსის გემებმა „რეტვიზანმა“, „ცესარევიჩმა“, „პალადამ“ პატარა ზარბაზნები ესროლეს ნალმიან გემებს, მაგრამ ეს გემები გამალებული მივიდნენ თავიანთ ესკადრასთან. დილით მთელი ესკადრა სამის მილის მანძილზე მიუახლოვდა პორტ-არტურს და ზარბაზნები დაუშინა, რუსის გემებმაც და პორტ-არტურის ციხემაც ზარბაზნები ესროლეს იაპონიის გემებს. ზარბაზნის სროლა შუადღის დროს გათავდა. იაპონელების ყუმბარები რომ სქდებოდა, ხშირი ყვითელი ბოლი დგებოდა, ზოგ ყუმბარიდან კი შავი ბოლი ამოვარდებოდა ხოლმე“.

„რეიტერის სააგენტოს“ ჩიფუდან ატყობინებენ: „იაპონელმა ადმირალმა ტოგომ 26 იანვარს დილით იერიში მიიტანა პორტ-არტურსა და რუსის ესკადრაზე. ტოგოს ესკადრა ორ დივიზიად იყოფოდა: ერთს დივიზიას თითონ ადმირალი ტოგო უფროსობდა, მეორეს ადმირალი კამიმურა.

ამ ბრძოლის თაობაზე რუსული გაზ. „რუსკია ვედომოსტი“ სწერს: „ჯერ რიგზე არ ვიცით ამ ბრძოლის ამბავი, მაგრამ ყველაფრიდან ცხადად სჩანს, რომ იაპონელი ადმირალი ტოგო ნიჭიერი, გამოცდილი, თან მეტის-მეტად გამბედავი, თითქმის თავზე ხელაღებული მეომარია. არც სიცივეს (პორტ-არტურში და საზოგადოთ ბრძოლის ველზე ეხლა დიდი სიცივეა) დაჰხედა, არც ჩვენს მრისხანე ესკადრასა და პორტ-არტურის ბატარეებს შეუშინდა, ადგა და მედგარი იერიში მოიტანა ჩვენ ფლოტზე.“

მართლაც, ტოგომ მთელი ქვეყნიერობა ცალკე აალაპარაკა, რუსის ფლოტს კიდევ ცალკე დიდი ზარალი მისცა. როგორც ვიცით, პორტ-არტურთან ბრძოლის დროს იაპონელებმა 3 რუსის ჯავშნიანი გემი დააზიანეს და 4 კრეისერი. დეპეშამ გვაცნობა, დაზიანებულ გემებს პორტ-არტურის დოკში რიგ-რიგად შეაკეთებენო, მაგრამ „ნოვოე ვრემია“ სწერს: „პორტ-არტურის დოკში მარტო კრეისერ „პალადა“-ს შეკეთება შეიძლება, ჯავშნიანი გემები „რეტვიზანი“ და „ცესარევიჩი“ ვერც-კი შევლენ ამ დოკში: გემები დოკზე განიერიაო“.

იაპონიის ფლოტის ზარალზე მეტად არეული ცნობები მოაქვთ დეპეშებს. ხმა დადის, ვითომ იაპონიის გემებსაც დიდი ზარალი მიეცაო პორტ-არტურთან ბრძოლის დროსაო, მაგრამ იაპონიის ადმირალს უცნობებია ტოკიოში, არც დიდ გემებს, არც ნალმიან გემებს პორტ-არტურთან სათქმელი ზარალი არ მისცემიათ, ყველანი ისევ ბრძოლას განაგრძობენო.

ბრძოლა ჩემულპოსთან: „რეიტერის სააგენტო“ იუწყება: „იაპონიის საელჩოს ლონდონში შემდეგი დეპეშა მოუვიდა ტოკიოდან. იაპონიის ესკადრა სატრანსპორტო გემებს მისდევდა. 26 იანვარს ჩემულპოს გზაზე რუსის კანონირი გემი „კორეეცი“ შეჰხვდა. რუსის გემი ნავთ-სადგურიდან გამოდიოდა. „კორეეცმა“ ზარბაზანი დაუშინა იაპონიის ნალმიან გემებს; იაპონიის გემებმა ნალმი ესროლეს და „კორეეცი“ ისევ ნავთ-სადგურში დააბრუნეს. 27 იანვარს იაპონიის ესკადრის უფროსმა ადმირალმა ურინომ ოფიციალურად შეუთვალა რუსის გემებს, შუადღემდე ჩემულპოდან გადით, რადგან მანდ უცხოეთის გემებიცა დგანან, თუ არ გახვალთ, ალაგას დავხვ[illegible] ნავთ-სადგურშივე დაგეცემითო. [illegible] $11^{1}/_{2}$ საათზე ორი რუსის გემი ნავთ[illegible]დან გავიდა. იაპონიის ესკადრა გა[illegible] და ჩემულპოს იქით კუნძულებთან ზარბაზნები დაუშინა. ერთის საათის ბრძოლის შემდეგ, ერთმა რუსის გემმა უკან დაიხია. საღამოს რუსის კრეისერი „ვარიაგი“ ორ კუნძულ შუა ჩაძირა. იაპონელებმა კანონირი გემი „კორეეცი“-ც ააფეთქეს და ჩაძირეს. ორსავე ჩაძირულ გემის აფიცრები და ჯარის-კაცები [illegible] საფრანგეთის გემ „პასკალ“-ზე გადავიდნენ. იაპონელებს არაფერი ზარალი არ მოჰსვლიათ. ამ ბრძოლის შემდეგ იაპონიის ჯარი დაუბრკოლებლივ გადავიდა ჩემულპოში.

როგორც დეპეშამ გვაცნობა, ამ ბრძოლის დროს რუსის კრეისერ „ვარიაგ“-ის კაპიტანს დიდი გმირობა ჩაუდენია. მეზღვაური ჯარის კაცები ჩემულპოში ნავებით გაუსტუმრებია, თითონ კრეისერზე დარჩენილა, აუფეთქებია, კრეისერიც დაუღუპავს და თავის თავიც. კაპიტანი ესე გმირულად რომ არ მოქცეულიყო, კრეისერი „ვარიაგი“ იაპონელებს ჩაუვარდებოდათ ხელში. ამ გმირ კაპიტანის გვარი რუდნევი I ყოფილა.

რუსის გემების დაჭერა. ინგლისური გაზ. „დეილი მეილ“-ი იუწყება: იაპონელებმა რუსის თავისუფალ ფლოტის გემი „ეკატერინოსლავი“, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გემი „არგუნი“ და ოთხი ვეშაპის დამჭერი გემი დაიჭირეს და ზაზევოში მოიყვანესო.

ხიდის დანგრევა. ინგლისურ გაზ. „დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ შანჰაიდან: „29 იანვარი. იაპონელებმა მანჯურიის რკინის გზაზე დიდი ხიდი ააფეთქეს და 30 რუსი მოჰკლესო. („რუსკ. ვედ.“).

იაპონია ახალ გემებს ჰყიდულობს. იტალიური გაზ. „სეკოლო XIX“ იუწყება: იაპონიამ რესპუბლიკა ჩილისაგან სამი სამხედრო გემი იყიდაო: ჯავშნიანი გემი „კაპიტან პრატო“; 1890 წელსაა აშენებული, 7,900 ტონას იწონის, საათში 15 მილს გადის, 12 ზარბაზანი აქვს. კრეისერი „შაკაბუკო“, 4,500 ტონას იწონის და საათში 23 მილს გადის; ნალმიანი სადარაჯო გემი „ალმირანტე კონდელი“—750 ტონას იწონის და 21 მილს მიდის. ეს გემები საომრად არიან მომზადებული, საომარი მასალა, საჭმელ-სასმელიც ბევრი აქვთ და პირდაპირ ბრძოლის ველზე მიდიან.

ვანკუვერიდან ცნობა მოვიდა: იაპონიის მთავრობამ კანადაში დიდ ოკეანეს რკინის გზის საზოგადოებისაგან ორი უზარმაზარი გემი „ტარტარი“ და „[illegible]“ იყიდა ჯარების გადასაზიდადაო.

სადაა შორეულ-აღმოსავლეთს მიმავალი რუსის ესკადრა. წარსულ დეკემბერს რუსეთმა შორეულ-აღმოსავლეთს ხუთი დიდი სამხედრო გემი გაჰგზავნა: „დიმიტრი დონსკოი“, „ოსლიაბია“, „ავრორა“, „სარატოვი“ და „ორიოლი“. ამას წინად რუსეთის სააგენტოს ცნობა მოუვიდა, ეს ესკადრა სინგაპურს ჩავიდაო. ეს ცნობა ტყუილი გამოდგა. „ნოვოე ვრემია“-ს [illegible]დნე სარწმუნო კაცებისაგან გაუგია, ეს ესკადრა ჯერ ინდოეთის ოკეანეში არ შესულა, ჯერ ნალმიან გემებს უცდისო.

რას ამბობენ საზღვარ-გარედ რუსეთ-იაპონიის ომზე. რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებამ მთელი განათლებული ქვეყნიერება აალაპარაკა. ზოგნი, ნამეტნავად გერმანიაში, საფრანგეთსა და ავსტრიასა, ჰკიცხავენ იაპონიას, რატომ ჯერ ოფიციალურად არ გამოაცხადა ომი, ისე უცებ რად დაეცა რუსეთის ესკადრასაო. მაგრამ ინგლისსა და ამერიკაში-კი თითო ოროლა კაცის გარდა, თურმე ყველაფერში ამართლებენ იაპონიას და დიდ თანაგრძნობასაც უცხადებენ. ინგლისის სამინისტროს მომხრე გაზეთები პირდაპირ სწერენ, იაპონიას სრული უფლება ჰქონდა, რუსეთის ფლოტს დასცემოდაო. იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა კომურამ რუსეთის ელჩ ბარონ როზენთან დიპლომატიური მოლაპარაკება რომ შესწყვიტა, მაშინვე შეატყობინა: ეხლა იაპონია უფრო ენერგიულ ღონისძიებას იხმარს თავის ინტერესების დასაცველადაო. ამ განცხადების შემდეგ, იაპონიას სრული ნება ჰქონდა, რუსეთის წინაამდეგ სამხედრო მოქმედება დაეწყოო.

რუსული გაზ. „რუსკი ინვალიდ“-ი სწერს ამავე საქმის თაობაზე: „როცა იაპონიის მთავრობის წარმომადგენელმა რუსეთის ელჩთან ტოკიოში დიპლომატიური მოლაპარაკება შესწყვიტა, მაშინვე ისიც შეატყობინა, იაპონიას ამას იქით უფლება აქვს, როგორც ჰკუა გაუჭრის, ისე მოიქცესო“.

ინგლისისა და ამერიკის მთავრობამ წინადვე იცოდა თურმე, რომ ომი დაიწყებოდა, ამიტომ ბირჟა, დიდი სავაჭრო ფირმები და ბანკები დროზე გააფრთხილა. გერმანიაში კი ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, იაპონია ომს ვერ გამოუცხადებს რუსეთსაო და დღე-დღეზე მორიგებას ელოდნენ. ამიტომ პირველი ბრძოლის ამბავმა შიშის ზარი დასცა ბერლინის ბირჟას. ბერლინიდან დეპეშით ატყობინებენ „რუსკია ვედომოსტი“-ს: „27 იანვარი. ბერლინის ბირჟას ნამდვილად შიშის ზარი დაეცა. გერმანიის ფასიან ქაღალდების კურსი ერთბაშად დაეცა. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი ხალხს ამშვიდებს: ეგრე რამ შეგაშინათ. რუსეთი და იაპონია ომობენ, გერმანია ხომ არ ომობსო! ყველანი მთავრობასა ჰკიცხავენ, რატომ ხალხი დროზე არ გააფრთხილაო. იაპონიის გაბედულებამ მთელი გერმანია ძალზე გააკვირვა. ინგლისი ვერ უბედავდა რუსეთს ომის გამოცხადებას, იაპონიამ კი გაუბედაო.

„ცესარევიჩი“, „რეტვიზანი“ და „პალლადა“

მკითხველებმა უკვე იციან, რომ 27 იანვარს იაპონელებმა ნალმიანის ნავებით ძლიერი იერიში მიიტანეს რუსეთის ფლოტზე პორტ-არტურთან. ამ იერიშმა დააზიანა რუსეთის ჯავშნიანი გემები „ცესარევიჩი“ და „რეტვიზანი“ და 1-ლ რანგის კრეისერი „პალლადა“. სამივე ეს გემი შეადგენს რუსეთის ფლოტის საუკეთესო ნაწილს და აშენებულია მეცნიერების უკანასკნელ მოთხოვნათა მიხედვით.

ჯავშნიანი გემი „ცესარევიჩი“ ზღვაში ჩაუშვეს 1901 წელს, ასე რომ მხოლოდ სამი წლისაა; გაკეთებულია ტულონის (საფრანგეთში) ცნობილ ქარხანაში. იწონის 12.900 ტონას (ტონა 62 ფუთია); სიგრძე აქვს 38 ფუტი ($55^{1}/_{2}$ საჟენი), სიგანე—76 ფუტი (11 საჟენამდე). ეს ვეებერთელა გემი შეიარაღებულია 52 ზარბაზნით. მისი უფროსი 1-ლ რანგის კაპიტანი გრიგოროვიჩი, უფროსი აფიცერია—ლეიტენანტი შუმოვი. ღირს ეს ჯავშნიანი გემი თორთმეტ მილიონ ხუთასი ათას მანეთად!

ჯავშნიანი გემი „რეტვიზან“-ი ერთის წლით უფროსია „ცესარევიჩ“-ზე. გაკეთებულ

---

*) ამ სააგენტოს დეპეშების გადაბეჭდვა 24 საათის განმავლობაში აკრძალულია. რედ.

900 წელს კრამპის ქარხანაში ილადელფიას (ამერიკაში). წონის 12.902 ტონნას; სიგრძე ქვს 380 ფუტი (54½ საჟენი), იგანე—72 ფუტი (10 საჟ.). ს უშველებელი გემი შეიარაღებულია 74 ზარბაზნით. ამას უფროსობს 1-ლ რანგის კაპიტანი შჩესნოვიჩი, უფროსი აფიცერია—ლეიტენანტი სტრონსკი. ეს ჯავშნიანი გემი ღირს ათ ილიონ შვიდას ათას მანათად!

პირველ რანგის კრეისერი „პალლადა“ გაკეთებულია პეტერბურგს, 1901 წელს, ფრანგთა და რუსთა საქარხნო საზოგადოების მიერ. სიგრძე აქვს 415 ფუტი (59½ საჟენი), სიგანე—55 ფუტი (8 საჟ.); იწონის 6731 ტონნას. შეიარაღებულია 42 ზარბაზნით; მის ეკიპაჟს შეადგენს 18 აფიცერი და 545 ჯარის-კაცი; უფროსია 1-ლ რანგის კაპიტანი კოსსოვიჩი. ღირს „პალლადა“ ხუთ მილიონ შვიდას ათას მანათად!

ამ მოკლე აღწერიდანაც დარწმუნდება მკითხველი, რომ იაპონელების მიერ სამივე დაზიანებული გემი საუკეთესო მშვენებას შეადგენს რუსეთის ფლოტისას. სამივე გემის ფასი თითქმის 28 მილიონი მანათია.



ჯავშნიანი გემი „ცესარევიჩი“.



ჯავშნიანი გემი „რეტვიზანი“.



კრეისერი „პალლადა“.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ ხვალ, 5 თებერვლისთვის თავ. ქო[illegible]შვილის სახლში დანიშნულია **საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა.** კრებამ უნდა განიხილოს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეხმაროს თავად-აზნაურობა იაპონიასთან ომის დროს დაღუპულ ჯარის-კაცთა სახლობებს.

◆ წუხელის ტფილისის ქალაქის საბჭომ გამგეობის წევრად აირჩია **თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვი,** რომელსაც თეთრი კენჭი ამოუვიდა 46, შავი—15.

◆ გუშინ-წინ ტფილისის ტრამვაის დირექტორმა შეატყობინა პოლიცმეისტერს, რომ ქალაქის **ქუჩებში პატრიოტულ მანიფესტაციის დროს** დიდ-ძალი ბავშვები ადიან ვაგონებსა და იმის სახურავებზე და აზიანებენ ვაგონებსაო. რადგან შესაძლებელია ვაგონების სახურავები ჩამოინგრეს და რაიმე უბედურება მოხდეს, დირექტორმა სთხოვა პოლიცმეისტერს განკარგულება მოახდინოს, რომ ბავშვებს ნება არ მიეცეთ ვაგონებზე ასვლისა. ესევე ამბავი აცნობა დირექტორმა ქალაქის გამგეობას და განუცხადა, თუ ეს გარემოება თავიდან არ აგვცდა, შესაძლებელია ვაგონების მიმოსვლა შევაჩეროთო.

◆ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის გამგეობამ შეატყობინა გუშინ ქალაქის გამგეობას, გადაწყვეტილია **ფოსტალიონებისა და წერილების დამტარებელთა** შტატის გადიდება, ამიტომ გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ცნობები ტფილისის სივრცის შესახებ, აგრეთვე ცნობები ქალაქის ახლად დასახლებულ განაპირა ადგილების სივრცის შესახებ და სია ქალაქის ქუჩებისა და მოედნებისაო.

◆ კვირას, 8 თებერვლისათვის, დანიშნულია წლიური კრება ტფილისის დურგალთა ამხანაგობის **„შრომ“-ისა.** ხსენებულს კრებაზე გამგეობა და სარევიზიო კომისია მოხსენებებს წაიკითხავენ ამხანაგობის საქმეების გაუმჯობესების შესახებ. სასურველია მეტი წევრი დაესწროს. ამავე კრებაზე გამგეობის თავმჯდომარე გ. თოიძე წაიკითხავს გამგეობის სახელმძღვანელოდ ახლად შემუშავებულ წეს-რიგს.

◆ ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ აცნობა მაზრის უფროსებს, ტფილისის პოლიცმეისტერს და სხვა და სხვა დაწესებულებას, რომ ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს **სულით ავადმყოფთა** განყოფილებაში ძალიან ცოტაა თავისუფალი ადგილი ავადმყოფთა მისაღებადაო. ხშირად ამ განყოფილებაში იღებენ მცირედ ავადმყოფებს, რომელთა სახლში შენახვაც შეიძლება. ამასთან სამკურნალო გამგეობა სთხოვს ექიმებს, მეტის ყურადღებით გასინჯონ ხოლმე ავადმყოფნი.

◆ გუშინ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ **ქვა-ნახშირის ხმარება** შეშასთან შედარებით უფრო ხელსაყრელიაო. 15 წელიწადია ქვა-ნახშირს ხმარობს რკინის გზაო. 1 საჟენი შეშა უდრის 140 ფუთ ქვა-ნახშირსაო.

◆ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს სააღრესო სტოლი პოლიციას ჩამოართვას და თვით აწარმოვოს. გუშინწინ ქალაქის გამგეობამ სთხოვა პოლიცმეისტერს, შეატყობინოს რამდენია შემოსავალი სააღრესო სტოლისაგან, ივარგებს თუ არა სააღრესო სტოლისთვის ქალაქ გარედ სადგომი, საკმარისი იქნება თუ არა სააღრესო სტოლის გამგეს წლიურ ჯამაგირად მიეცეს 800 მან., ხოლო მწერლებს თვეში 22 მან. 50 კაპ. და სხვ.

◆ სოფელ [illegible]ოპორტში (დუშეთის მაზრა) ეხლახან დაარსდა სამინისტრო სკოლა. სკოლაში 45 მოსწავლე შესულა. სკოლის მზრუნველობა უკისრნია კნ. პელაგია ტუსიშვილს.

◆ ჩუღურეთში გოხჩარნი ქუჩის მცხოვრებნი დიდად შეწუხებულნი არიან ქუჩის უვარგისობით. ამ სამიოდე თვის წინათ ქუჩის მოსაკირწყლავად თხრა დაიწყეს, რამდენიმე დღე თხარეს და თავი დაანებეს, ნათხარმა მიწამ ქუჩა დააღრო-ჩოღროვა, ატალახა და, მაშასადამე, ქუჩა უფრო წაახდინა. კარგი იქნება, ვისიც მოვალეობაა, ამ ქუჩის მცხოვრებთა გაჭირვებას ყურადღება მიაქციოს.

◆ ტფილისის საგუბერნიო სტატისტიკო კომიტეტმა სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს ცნობება იმის შესახებ, თუ რამდენი შემოსავალი აქვს ქალაქს სხვა-და-სხვა წყაროებიდან და რაში ეხარჯება ფული.

◆ პოლიციის 1 ნაწილში ესრედ წოდებულ „არტილერიის ბალკაში“, ვერის დაღმართიდან ჩასასვლელი გზა ისე ვიწრო და მინგრეულ-მონგრეულია, რომ ქვეითა კაცსაც უჭირს იქ გავლა დღისით. პოლიცმეისტერმა გუშინ ეს ამბავი აცნობა ქალაქის მოურავს და სთხოვა, ამ კუთხეში რამდენიმე ფარანი დაადგმევინოს.

◆ დღეს, 4 თებერვალს, ტფილისის მესამე მომრიგებელ-მოსამართლესთან განსახილველად დანიშნულია საქმე ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მელნიკოვისა, რომელსაც ქ-ნი ჩხარტიშვილი უჩივის შეურაცხყოფის მიყენებას.

◆ 2 თებერვალს დიდუბეში ძმ. ხომასურიძეთა სახლში ვილაც ბოროტ-განმზრახველთ ერთის მდგმურის სადგომიდან გაიტანეს ხალიჩები ათ თუმნად ღირებული.

◆ როგორც ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარის გამგის ექიმის გედევანიშვილის ცნობებიდან სჩანს, 50 ავადმყოფისაგან 32 ქალაქის მცხოვრები ყოფილა, 18 ტფილისის გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილისა. 28 კაცი ძალიან მძიმედ ყოფილა ავად.

◆ მეტეხის ქუჩის აღმართზე ქუჩის მოკირწყვლის დროს ქალაქის მუშებს ფერისცვალების მონასტრისაკენ იმავ ქუჩაზე დაუტოვებიათ დიდ-ძალი მასალა, ასე რომ იქ ეტლების მოძრაობა შეუძლებელი ხდება. პოლიციის მე-7 ნაწილის ბოქაულმა გუშინ აცნობა ეს ამბავი ქალაქის გამგეობას და სთხოვა გაასუფთავებინოს ქუჩა.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში, როზოვის ქუჩაზე, 1 თებერვალს წაჩხუბებულან ტფილისის მოქალაქე ვანო ბებიაშვილი და ლევან მანუკოვი. ბებიაშვილს დაუჭრია მანუკოვი დანით. დამნაშავე დააპატიმრეს.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა თავ. კ. დ. ერისთავმა რუსეთსა და იაპონიას შუა ომის დაწყების გამო 29 იანვარს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს: „ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, აღფრთოვანებული მოკრძალების გრძნობით მშვიდობის მოყვარეობის წინაშე თავის თვით-მპყრობელ წინამძღოლის, საყვარელ მეფისა, რომელმაც ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ თავიდან აეცილებინა სისხლის ღვრა თავის ქვეშევრდომთა, სთხოვს თქვენს მაღალს აღმატებულებას განართხოს ფერხთა წინაშე მისის უდიდებულესობისა, რომ თავად-აზნაურობა, მიმდევარი წინაპართა ანდერძისა, მზადაა დაღვაროს უკანასკნელი სისხლის წვეთი მეფის, სარწმუნოებისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

◆ როგორც წლიურ ანგარიშიდან სჩანს, ქალაქის საავადმყოფოში წარსული წლის განმავლობაში წოლილა სულ 112 ავადმყოფი, ამათგან მორჩენილა 108, გარდაცვლილა 4, ანუ დაახლოვებით 3% უმეტესი ნაწილი ავად ყოფილა სიფილისით—33; დანარჩენ ვენერიულ ავათმყოფობით—სულ 41, ბღერით—7, ხუნაგით—6 და სხ.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობა აპირებს ქუჩების მოკირწყვლას არჩეულ წვრილი რიყის ქვით. ჯერ-ჯერობით გააკეთებენ ტფილისის ქუჩას, სივრცით 1000 ოთხ-კუთხ საჟენს, დევაბოძესას 2420 ოთხ-კუთხ საჟენს, ორპირის ქუჩას—1600 საჟენს და ბაღის ქუჩის პირველ შესახვევს—335 ოთხ-კუთხ საჟენს. ქალაქის გამგეობა იწვევს მოიჯარადრეთ, ვისაც სურთ იჯარით აიღონ ქუჩების გაკეთება, გამოცხადდნენ ქალაქის გამგეობის დარბაზში 5 თებერვალს, ან წერილობითი განცხადება წარუდგინონ გამგეობას, სადაც უნდა აღნიშნონ თავისი პირობები.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

◆ ომსკში შემოღებულს მაგარ სასმელების სახელმწიფო მონოპოლიას მოულოდნელი შედეგი მოჰყვა: სანამ მონოპოლიას შემოიღებდნენ, იქაური მცხოვრებნი მხოლოდ ღვინოსა სვამდნენ. ეხლა-კი ღვინო თურმე იშვიათად იშოვება, არაყი კი, პირიქით, ისე გავრცელდა, რომ ქალებიც-კი დიდის სიამოვნებით და ძალიან ხშირად ითვრებიან არყით.

◆ „ორლოვსკი ვესტ.“-ში ერთი კორესპონდენტი სწერს: „თქვენ, ბატონებო, გაგიგიათ, რომ ზოგიერთი მაშინისტი, კოჩეგარი და მეისრე 24—30 საათს განუწყვეტლივ მორიგეობს, მუშაობს და როცა ეს გესმოდათ, ღელდებოდით და შფოთდებოდით, მაგრამ არას დროს არ გაგიგიათ, რომ არის ისეთი თანამდებობანი, სადაც მსახურნი 200 საათს და მეტსაც მორიგეობენ. ამათ ნება არა აქვთ იჩივლონ, პროტესტი გამოაცხადონ. ამისთანა თანამდებობანი სადგურ ბრიანსკზეა. ამ სადგურზე მსახურნი შემდეგნაირად მუშაობენ: ჯერ ერთი კვირის განმავლობაში მთელ ღამეს, ე. ი. ღამის 8 საათ. დილის 8 საათამდე მუშაობენ, მეორე კვირას კი, მთელი კვირის განმავლობაში განუწყვეტლივ ღამეც და დღეც მუშაობენ. ეს კვირაში 168 საათი გამოდის. ამის შემდეგ ამ [illegible] სრულს კეთილ სინდისიერსა [illegible] რიგიან სამსახურს სთხოვენ. ეს დაუჯერებელია, უმატებს გაზეთი, მაგრამ უნდა დავიჯეროთ, რადგან ეს ფაქტი ნამდვილია“.

† ᲜᲘᲙ. ᲙᲝᲜᲡᲢ. ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲡᲙᲘ

პეტერბურგის გაზეთებმა დიდად სამწუხარო ამბავი მოგვიტანეს: 27 იანვარს, ღამით, მოულოდნელად გარდაცვლილა რუსეთის გამოჩენილი მწერალი ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე მიხაილოვსკი.

ვის არ გაუგონია ეს დიდად პატივსაცემი სახელი? ვისაც-კი თვალ-ყური უდევნებია რუსეთის ერის თვით-ცნობიერების განვითარებისთვის, მან კარგად იცის რა დიადია ამ მწერლის ღვაწლი; მან იცის, რომ მიხაილოვსკის ნაყოფიერ გავლენის ქვეშ აღიზარდა რუსეთის ინტელიგენციის რამდენიმე თაობა; მან იცის, რომ მიხაილოვსკი იმავე როლს ასრულებდა მე-70 და მე-80 წლებში, როგორსაც მე-40 წლებში ასრულებდა ბელინსკი და მე-60 ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი. მართალია, თავის ნიჭით მიხაილოვსკი ჩამოუვარდებოდა რუსეთის ხსენებულ მწერალთ, მაგრამ გავლენა მათზე ნაკლები, თითქმის არც-კი ჰქონია. დიდად განათლებულმა, ნიჭიერმა და ფრიად ენერგიულმა მიხაილოვსკიმ მთელი მიმართულება შეჰქმნა რუსულს ლიტერატურაში და დიდი კვალი დაამჩნია მთელის ორის თაობის აზროვნობასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

როდესაც მიხაილოვსკი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, რუსულ ლიტერატურაში გამეფებული იყო ცნობილის პისარევის მიერ შექმნილი მიმართულება. მოკლედ რომ ვთქვათ, პისაევის საგანი იყო უარ-ეყო ყველა წინანდელი ავტორიტეტები, დაემხო იდეალისტურ-რომანტიკული მიმართულება „მოაზროვნე რეალისტის“ მიხედვით. ამ საგანმა მკვირცხლი პისარევი ძალიან შორს გაიტაცა და უარმყოფობითი მიმართულება უკიდურესობამდე მივიდა: დაიწყეს ქადაგება ვიწრო უტილიტალურ მორალისა, პიროვნების ეგოისტურ მისწრაფებათა განმტკიცებისა. ასეთ მიმართულებას შეეძლო საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმი დაებადნა.

მიხაილოვსკის მოძღვრება წინაალუდგა ასეთს უკიდურესობას; ის გამოვიდა ბელინსკის და, შემდეგ, ცნობილის რუს ფილოსოფოს-სოციოლოგის ლავროვის იდეათა მიმდევრად და განმტკიცებლად. წინააღმდეგ უარმყოფელ პისარევისა, მიხაილოვსკი შეეცადა შეექმნა იდეალისტური მოძღვრება, რომელსაც საფუძვლად დაუდო ისევ პიროვნების სურვილ-ლტოლვილებანი. ამ მოძღვრებით, განვითარებულ პიროვნებას (ლავროვის „კრიტიკულად მოაზრე პიროვნებას“) შეუძლია დაისახოს იდეალი და ამ იდეალის მიხედვით საზოგადოებრივი ფორმებიც შესცვალოს. მიხაილოვსკი ბევრს ეცადა ასეთი სუბიექტიური ელემენტი შეეტანა სოციოლოგიაში და იმის სახელით ცდილობდა დაერღვია ობიექტიურ ევოლიუციის მიმდევართა მოძღვრება. განსაკუთრებით ცნობილია მისი გარჩევა სპენსერის სოციოლოგიურ მოძღვრებისა (ნამეტურ ორგანიულ თეორიისა) და ბრძოლა სოციოლოგიაში დარვინიზმის დამამყარებელ მწერლებთან (კლემანს როიე, იეგერი და სხვანი).

ჩვენთვის ამ ჟამად ცხადია, რომ მიხაილოვსკის ასეთი ცდა, მეცნიერების მიხედვით, ბევრში უნაყოფო იყო; მაგრამ ვერავინ ვერ უარჰყოფს, რომ მის იდეალისტურ მოძღვრებას დიდი გავლენა ჰქონდა ახალგაზდა თაობათა მიმართულებასა და მოღვაწეობაზე. მიხაილოვსკიმ თეორეტიული საფუძველი დაუდო მე-70 და მე-80 წლების მოწინავე რუს ინტელიგენციის მისწრაფებას და პრაკტიკულ მოქმედებას. მისი „პროგრესის თეორია“, მოკლედ რომ ვთქვათ, ამტკიცებდა: პროგრესი არის პიროვნების ყოველმხრივი განვითარება და საზოგადოებრივ ფორმებში განვითარებულ პიროვნებათა იდეალის განხორციელება. ასეთ ფორმულას დიდი აღმზრდელი და ზნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდა იმ თაობათათვის, რომელნიც ჰფიქრობდნენ რუსეთის ცხოვრების ყოველმხრივ შეცვლას.

ჩვენ საგნად არა გვაქს მიხაილოვსკის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის დაფასება,— ეს არც მოხერხდება საგაზეთო წერილში; ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ საზოგადო ხასიათი მის სოციოლოგიურ მოძღვრებისა, რომელსაც, გარდა იმ მნიშვნელობისა, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, წმინდა ობიექტიური ფასიც აქვს მეცნიერებისათვის. ასეთი ფასი აქვთ,

მაგალითად, მის წერილებს ბრბოს ფსიხოლოგიის შესახებ („გეროი ი ტალპა“, „ვოლნიცა ი პოდვიჟნიკი“, „პატოლოგიჩესკაია მანია“ და სხვა); ისტორიაში ეროვნების მნიშვნელობას („ბორბა ზა ინდივიდუალნოსტ“, „ტეორია დარვინა. ობშჩესტვენნაია ნაუკა“, „ჩტო ტაკოე პროგრეს“? და სხვა)...

არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მიხაილოვსკის, როგორც კრიტიკოსს. ლიტერატურულ მსჯელობაში ის ხელმძღვანელობდა იმავ სუბიექტიურ-იდეალისტურ მეთოდით და შესანიშნავად გაარჩია ლ. ტოლსტოის, ტურგენევის და დოსტოევსკის ნაწერები. იმან პირველმა აღნიშნა და განაცალკევა ტოლსტოის დიდი ხელოვნური შემოქმედებითი ნიჭი და შემცდარი ფილოსოფიური მოძღვრება („დესნიცა ი შუიცა გრ. ლ. ნ. ტოლსტოვა“); მან პირველმა აღნიშნა დოსტოევსკის დიდის ნიჭის პსიხიატრული ელემენტი („ჟესტოკი ტალანტ“) და ტურგენევის ტიპების მნიშვნელობა საზოგადოებრივ თვითცნობიერების განვითარების მიხედვით...

მიხაილოვსკი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მე-60 წლების მეორე ნახევარში (დაიბადა 1842 წელს) და იმ დროიდან ერთ წუთსაც არ მოშორებია ლიტერატურას. უფრო თვალსაჩინო მოღვაწეობა დაიწყო ნეკრასოვის „ოტეჩ. ზაპისკ“-ებში და შემდეგ ნეკრასოვის სიკვდილისა ამ სახელოვანის ჟურნალის მესამე რედაქტორად გახდა (სალტიკოვი, ელისეევი და მიხაილოვსკი); მის გავლენით „ოტეჩ. ზაპ.“ რადიკალურ ჟურნალად გადაიქცა, რომელიც საყვარელ ორგანოდ შეიქნა რუსეთის მოწინავე საზოგადოებისათვის. ამ ჟურნალის დახურვის შემდეგ მიხაილოვსკი მუშაობდა „სევერნი ვესტნიკ“-სა, „რუსკ. ვედომ.“-სა, „რუსკ. მისლ“-სა და ბოლოს „რუსკ. ბოგატ.“-ში. ხანგრძლივ საჟურნალო მოღვაწეობაში მიხაილოვსკის არ დაუტოვებია არც ერთი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოვლენა, რომლისთვისაც ანგარიში არ გაეწია. მხურვალედ და მედგრად იბრძოდა იგი საუკეთესო იდეალებისათვის და ერთხელაც არ გადაუხვევია არჩეულ გზაზე. ასეთი მისი როლი რუსულს ლიტერატურაში მშვენივრად დაახასიათეს ორის სიტყვით იმ მწერლებმა, პროფესორებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, რომელთაც რამდენისამე წლის წინად მიხაილოვსკის 40 წლის იუბილეის დღესასწაულის დღეს გამოსცეს კრებული და სახელად უწოდეს მას „На славномъ посту“. ეს ორი სიტყვა მართლა მშვენიერად ახასიათებს აწ განსვენებულის მწერლის მნიშვნელობას: იგი დარაჯი იყო მოწინავე საზოგადოების საუკეთესო მისწრაფებათა და ამიტომ მისი სიკვდილი გულწრფელ მწუხარებას გამოიწვევს რუს ინტელიგენციის ყველა წრეებში.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. ჩვენის უნიჭიერესის არტისტის ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის ბენეფისმა, როგორც მოსალოდნელი იყო, 2 თებერვალს, თეატრში იმოდენა ხალხი მიიზიდა, რომ თავისუფალი ადგილი აღარ იყო. საზოგადოებამ ქ-ნ გაბუნია-ცაგარელი დიდის თანაგრძნობითა და ხანგრძლივის ტაშის ცემით მიიღო, მაგრამ თვით წარმოდგენით-კი საზოგადოება უკმაყოფილო დარჩა. ეს უკმაყოფილება გამოიწვია ამ საღამოს ნათამაშევმა აზიანის ახალმა კომედიამ „ინჟილერი სიძე.“ ეს ახალი პიესა ახალგაზდა მწერალისა, სულ რომ ცოტა ვსთქვათ, მეტად სუსტი, ბავშური ნაწარმოებია და ბევრად ჩამორჩება ამავე ავტორის სხვა პიესებს. შინაარსი კომედიისა მარტივია. ახალგაზდა, გარყვნილ და გაიძვერა „ინჟილერს“ უზარმოვს (ბ-ნი შათირიშვილი) „უკანონო ცოლი“, რუსის ქალი და ორი შვილი ჰყავს; ამათ მოსაშორებლად უზარმოვი მაჭანკლების საშუალებით ანუშკა გულადოვს (ქ-ნი გაბუნია) ქალს ნატაშას (ქ-ნი ტ. აბაშიძე) ირთავს, კარგ ქრთამსაც იღებს და ამ ქრთამიდან ხუთას თუმანს თავის „უკანონო ცოლს“ აძლევს და რუსეთში ისტუმრებს. ორის წლის უსიამოვნო და უთანხმოებით სავსე ცხოვრების, რძლისა და დედამთილის (ქ-ნ ჩერქეზიშვილი) მუდმივ ჩხუბის შემდეგ უზარმოვი და ნატაშა ერთმანეთის განშორებას აპირებენ. აი კომედიის შინაარსი.

პიესა მოსაწყენია, მოქმედება არ არის განვითარებული, არც ერთი მომქმედი პირი კომედიისა არ არის რიგიანად დახასიათებული. სიმახვილე და ოხუნჯობა ამ ახალს პიესაში მხოლოდ სიტყვების დამახინჯებაშია, მაჭანკლების ლანძღვა-კილვაში და გადამეტებულს რუსულ ლაპარაკში.

კარგად და ცოცხლად შეასრულეს თავიანთი როლები ქ-ნ გაბუნიამ და ტ. აბაშიძემ, დანარჩენი არტისტები ხელს უწყობდნენ, რომ პიესას მწყობრად და მხიარულად ჩაეარა.

დასასრულ „დარისპანის გასაჭირის“ მაგიერ წარმოდგენილ „მათიკოს“ მესამე მოქმედებაში საუცხოვო იყო ოსეპას როლში ბ-ნი ვ. აბაშიძე.

—

წარსულს კვირას დაიბეჭდა ჩემ წინააღმდეგ ორი წერილი. ერთმა ძალიან გამაცინა, ხოლო მეორემ გამაოცა. გამაცინა მსახიობის ელისაბედ ჩერქეზიშვილის წერილმა და გამაოცა თავ. აკაკის წერილმა.

ქ-ნ ჩერქეზიშვილის პრეტენზია მეტად ახირებულია. „ცნობის ფურცლ“-ის რეცენზენტმა იმ წერილში, რომელიც ჩემს საბენეფისო წარმოდგენას უძღვნა, ამბობს ქ-ნი ჩერქეზიშვილი, ჩემზედ კრინტიც არ დასძრა, მიუხედავათ იმისა, რომ 17 წელიწადი ჩვენს სცენაზედ ვმოღვაწეობო. გულადობა გამოიჩინე, მეუბნება მე, ნიღაბი ჩამოიხსენ და შენი სახელი აუწყე საზოგადოებასაო. არ ვიცი, ვინ მოახსენა ქ-ნ ჩერქეზიშვილს, რომ მე იმის საბენეფისო წარმოდგენას წერილი ვუძღვენი? ჩემის აზრით, ეს ბენეფისი სულ მეტი იყო და აბა წერილს როგორ ვუძღვნიდი. მე მხოლოდ და მარტო ის აღვნიშე, რომ ქ-ნ ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იყო „განთიადი“, ორიოდე სიტყვა ვსთქვი თვით პიესაზე და აღვნიშნე, რომ ბ-ნნი აბაშიძე, შალიკაშვილი და აღამიძე კარგად თამაშობდნენ. ქ-ნ ჩერქეზიშვილზე არა ვსთქვი რა, ამიტომ რომ კარგის თქმა არა შემეძლო-რა და ავისა არ მინდოდა, რადგან ისედაც დაჩაგრული იყო—ბენეფისს ხალხი ძალიან ნაკლებად დაესწრო. მეტის-მეტად გათამამებულა მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი, რომ თავის 17 წლის მოღვაწეობაზე ბრძანებს, მეტის-მეტად გაკადნიერებულა, რომ იწოდებს ჩემი სახელი ვაცნობო საზოგადოებას. რაო, რისთვის? ახირებული და სასაცილო არ არის?

თავ. აკაკი თავის წერილში „გაბედული ცილის წამება“ ბრძანებს, ვითომ მე ქვენა ანგარიშებით (?) გატაცებულმა ცილი დავწამე, როდესაც „ცნობის ფურცელ“-ში ვწერდი: „თეატრში ხმა გავრცელდა, ვითომ არტისტებს თვითონ თავის ნებით შეემოკლებინოთ პიესა და ამით წაეხდინოთ იგი, რომ აკაკის ვერც-კი ეცნო თავისი პიესა. **თვითონ აკაკიმ ბრძანა ფოიეში, ჩემს პიესას არ თამაშობენო.** ეს, რასაკვირველია, ავტორების ჩვეულებრივი ხრიკი გახლავთ“, და სხ. თავ. აკაკი ბრძანებს, რომ თუ „ყველაფერი,—ე. ი. თუ მე მეთქოს „ჩემს პიესას არ თამაშობდნენ,“—მართლა, მაშინ „ფუი ჩემს კაცობას!“ მაგრამ, თუ რეცენზენტი სტყუოდეს, მაშინ-კი „ვაშა მის კაცობას, მის სიმართლის მოყვარეობას, მის გულ-წრფელობას“!

მე ვერ შევკადრებ თავ. აკაკის ვუთხრა „ფუი შენ კაცობას“-მეთქი, თუმცა სრული უფლება მაქვს წრფელის გულით მოვახსენო ეს. თავ. აკაკის დავიწყებია თავისი სიტყვები „ჩემს პიესას არ თამაშობდნენო“ და უარს კადრულობს. მე ვიმეორებ ჩემს ნათქვამს: თავ. აკაკიმ ფოიეში სწორედ ჩემ წინ სთქვა ზემოდ მოყვანილი სიტყვები და ამას მიმოწმებენ ბ-ნი ბ-ნი ლევ. ყიფიანი, „ნოვ. ობოზრ.-ს თანამშრომელი, ბ-ნი ადამაშვილი და ბევრი სხვანი.

ვ. ს—ი.

—

დღეს, 4 თებერვალს, ქართულ თეატრში დანიშნულია ბენეფისი დამსახურებულ არტისტის კონს. ყიფიანისა. წარმოსადგენად დანიშნულია სუნდუკიანცის „დაქცეული ოჯახი“ და ვოდევილი.

დაბა-სოფლები

დ. ყვირილა (იმერეთი). 25 იანვარს, ღამის 2 საათზედ გადაიწვა ყვირილაში 16 ხის დუქანი სადგურის პირდაპირ. თუმცა ცეცხლის გაჩენა დაუყოვნებლივ გაიგეს, მაინც ვერ შესძლეს ცეცხლის გაქრობა საჭირო იარაღების უქონლობის გამო. ერთი დამწვარი დუქანი დაზღვეული ყოფილა 3000. მ., დანარჩენი კი ყველა დაუზღვევლია. დაზღვეულია აგრეთვე დამწვარ დუქნების ახლო შენობებიც. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა ჯერ არ იციან. ბევრი წვრიმალი ხელოსანი და ვაჭარი დარჩა ულუკმა-პუროდ. მათი მდგომარეობა აუწერელია. ზარალი 30,000 მ. იქნება. მგონი, დრო არის ზესტაფონის საზოგადოებამ ცეცხლის საქრობი მანქანები შეიძინოს.

კვირას, 1 თებერვალს, საღამოს 7 საათზე აქ მოხდა ერთი მკვლელობა. ვიღაც ა. ქურციკიძემ ჩაჰკრა ხანჯალი მუცელში აქაურ ხელოსანს ა. არაბიძეს და იქვე მოჰკლა. თუმცა მკვლელობა შუა გულ ბაზარში (კიკნაძის სარდაფში) მოხდა, მაგრამ კაცი არავინ გამოჩნდა, რომ მიშველებოდა.

ბრახვანიძე.

—

სოფ. ბეჟანიანი (კახეთი). ამ ორის წლის წინად ამ სოფელში მიხეილ მურვანიშვილმა განიზრახა წიგნთ-საცავის დაარსება. თავის წადილი, ცოტა არ იყოს, სისრულეში მოიყვანა, შეჰკრიბა ფული და ააშენა ქვითკირის შენობა, თხოვნაც ნება-რთვის ასაღებად გაჰგზავნა, მაგრამ, საუბედუროდ, გამოჩნდნენ ისეთნი, რომელთა წყალობითაც ბ-ნი მურვანიშვილი იძულებული იყო გადასულიყო ამ სოფლიდან აბასთუმანში. წასვლის დროს ყველაფერი, ანგარიშები და საქმეები ჩააბარა ამ სოფლის მღვდელს და მასწავლებელს და სთხოვა, დაწყებული საქმე განეგრძოთ და სისრულეში მოეყვანათ; მაგრამ დღემდის არაფერი კეთდება და ბიბლიოთეკისთვის აგებულ შენობაში ზოგიერთი ვაჟბატონები ცხენებს აბმენ და ბოსლის მაგიერ ხმარობენ. ყურის მგდებელი არავინ მოიპოვება. სოფელ ბეჟანიანში ორი წელიწადია, რაც გაძლიერდა ქურდობა და ძარცვა-გლეჯვა.

9 იანვარს, ღამე, ვაჭარს გეურქ ნონიევს შეუცვივდნენ სახლში ქურდები, რიცხვით თორმეტამდის. სახლში მყოფს ნონიევს და იმის ცოლ-შვილს დააყარეს ქვეშაგებები, რომ არ შეეხედნათ ქურდ ბაცაცებისთვის. უფროსი ვაჟი აეყენებინათ და ამ ვაჟს ჩაეთვალნა რაც ფულები ჰქონოდათ, დაახლოვებით 800 მანეთამდის ნაღდი. ამდენისავე მანეთის ქამრები და ოქრო-ვერცხლის ნივთები, რომელიც ვაჭარს სხვისაგან ჰქონოდა ფულში გირაოდ აღებული. შემდეგ გაქცეულიყვნენ ბოროტ განმზრახველნი. ამ საქმის გამოძიება დაიწყო ყვარლის ბოქაულმა ი. გომელაურმა. ბოქაული მოვიდა თუ არა სოფელში, დაატუსაღა ყველა საეჭვო კაცი, რიცხვით სამოცამდის, და აგრეთვე მეზობლები გაძარცულ ვაჭრისა და შეუდგა გამოკვლევას საქმისას. ამბობენ, გამოძიების დროს ერთი დატუსაღებულთაგანი სოფელ კარდანახში მცხოვრები ბეჟანიანში მეძროხეთ მყოფი, შ. ჩ—შვილი, გამოტყდაო.

ბეჟანიანელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 თებერვალი

სალონიკი. ჯუმაიაში ოსმალეთის საზღვრების მცველმა რაზმმა იერიში მიიტანა ბოლგარელ რაზმზე, რომელიც 100 კაცისგან შესდგებოდა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ბოლგარელები გაიქცნენ და ბრძოლის ველზე 12 მოკლული კაცი დასტოვეს. ოსმალებს ერთი მოუკლეს და ორი დაუჭრეს.

ბრიუსელი. ჩრდილოეთის რკინის გზის სადგურის მახლობლად ორი მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა. 6 კაცი მოკლულია.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.. სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.)-

ბორჯომს. სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

იყიდება

სახნავი ადგილები და ტყე

სოფ. დვანსა და ერედვში, რკინის გზის სადგურ ქარელის მახლობლად, ზომით 500 დესეტინა. ადგილი სააგარაკოა. მსურველს შეუძლიან მოელაპარაკოს ცხინვალში თავ. იასონ ფავლენიშვილს. (1—51—1)

აფხანაურის სანერგე

ამერიკულ ვაზისა

მიხრან ალ. ანანოვისა. იყიდება ერთის წლის ფესვიანი ვაზები, ამერიკულ ვაზებზე დამყნილი როგორც ადგილობრივ, ისე ფრანგულ ჯიშისა, იყიდება აგრეთვე ამერიკულ ვაზის რქა და გიბრიდები.

აქვე შეიძლება მსურველმა შეუკვეთოს სხვადასხვა ჯიშის ვაზის დამყნობა მომავალ 1904/5 წლის სეზონისათვის.

ადრესი: სად. რიონი, ამიერ-კავ. რკ. გზისა. მიხრან ალ. ანანოვი (10—6—10)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი ღირს	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფოს-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

Доз. ценз. Тифлисъ 3 февраля 1904 г. ელექტრონის სტამბა, ქართ. ამხ—ის წიგნების გამომც. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва